


რისი

ქრონიკული
გიგლიოთეკა

№18 თბილისი 1939

ბაზ-ბა „კომუნისტი“

ფასი 12.



ნახ. მის. ლებედევსა.

თურქეთის ბაზეთ „ტანის“ კომპოზიტორის მოგზაობის გამოცემული ფრინველები.



გუთნის დედა, გუთნის „მამა“ ჰხედავთ, ზავის მდომია, ისე სთესვენ მშვიდობასა, რომ... ამოდის ომია.

სამშვიდობო მიმოხილვა

მოვლენ ნიანგის მანდატით—შხარენი ევროპისანი, მათი ამბების აღწერის მქონდა ზრახვა და მიზანი, მიმოვიარე ქალაქში, რომელთაც მეპყრა ვიზანი — საკბილოს ბევრს რომ ვნახავდი, ამას რათ უნდა მისანი?

პირველად ლონდონს ვეწვიე, მოვიხსნულე სიტია; ტანკზე შემჯდარი, მდეროდა, მონოკლიანი ჩიტია, თავი ბულბულად მოჰქონდა, ჰანკით „მშვიდობის მზილია“, მაგრამ კარგად რომ გავხინჯე—ყვავი გამოდგა ფლიდია. — ტია, ტიაო, იძახდა, ფერით და გულით შავია: „ლობდა:—ქერუბიმი ვარ, არ მოკვდეს ჩემი თავია, ქვეყნიერებას მე მინდა, რომ მივანიჭო ზავია“; — ძია ბულბულო, — შევკადრე, — თუ მართლა ასე გწაფია, რათ დაუყენე მსოფლიოს სისხლისღვრის წელიწადია? ადექ და ზავზე იზრუნე, მსურველს იშოვი, ცხადია... შეიფრთხილა ჩიტუნამ, შეირხა თავი დახარა, და შემოკრებილ პალატას ესე ამბავი ასარა: — გუთინ ჩავძირეთ გემები, დღეს მატარებლებს ვბეთქეთა, რამოდენიმე ათასი ქალ-ბავშვი ავაფეთქეთა, დავწვერეთ მოწინააღმდეგე, მისი ხმელი და მდინარე, ცეცხლგამჩენ ყუმბარებითა დავსწვით მცხოვრებნი-მდინარე, ფრანგეთს ჯარები გავგზავნეთ, ფინეთში ინსტრუქციები, რომ მეზობლების საზღვრებზე, ააზუზუნონ ტყვიები და, მით გავფურჩქნათ დამტყნარი კაპიტალიზმის ბალები... — ვაშაო, ტაში დაუკრეს ცილინდრიანმა გვრიტებმა, — და მათი ზრახვა გავიგე მათ სულში ჩანაჭვრიტებმა: რომ მტაცებელთა „მშვიდობა“—ფანდია საყარადარი, ზავს რომ ამბობენ, ომი ჰსურთ — სისხლისღვრის გასაჩადარი. და როცა გარეთ გამოველ, ვნახე მშრომელთა მწკრივები: ვხედავ, რომ გულში ცეცხლი აქვთ, მრისხანედ განადვივები, დღეს თუ ხვალ, ვნახო ხანძარი, ხალხის მჩაგვრელთა მბუგავი, იმ ცრუ-ბულბულთა გამბეჭტი და მართლაც ზავის მწუკავი. მე ამ თემაზე მრავალი ჩავატარევი თათბირი, მუშების აზრი გავიგე, უკვე შეუკრავთ მათ პირი, მითხრეს თუ:—ყოფას ვუტყვირებთ კაპიტალს—დამპალს, ბრუციანს, — მოწვევა გავუგზავნეთ ამხანაგ რევოლუციას..

პარიზს ჩაველ ინკოგნიტოდ, ვინახულე ტუზი ერთი, შევეკითხე:—მუსიოჯან, რათ გკიდია ზურგზე დენთი? თქვენს მინდვრებზე გუთნის ნაცვლად, ტანკებს რატომ აქარავნებთ, ბურის ნაცვლად ტყვიებს რომ თებთ, საქმეს ამით მაშ არ ავნებთ?

რათ ზუზუნებს თქვენს ქუჩებში, ტუვიამფრქვევი და მათრახი? რა გწადიათ, რას აპირებთ, რა გაქვთ გულში განაზრახი? — პარდონ, მაგრამ ჩვენი ზრახვა ყველასათვის ნათელია: მშვიდობისთვის ვიწვით, ვდნებით, ვით შანდალში სანთელია.. — მაინც საქმით რას აკეთებთ სამშვიდობო საქმისათვის? გთხოვ, ამხსნა მუსიოჯან, მოსული ვარ აქ მისათვის.. — საქმით? ენა ვერც კი მოსთვლით რაც ჩვენ საქმით ვაკეთებთ. კომპარტია ავკრძალეთ და, მშრომელები დავაფეთეთ, მთლად ცხოვრება ჩვენი ხალხის თხრილებისკენ შემობრუნდა, გადასახადს ყოველდღე ვზრდით — მშრომელთათვის, რა თქმა უნდა, ამ ჩვენ საწყალ მაგნატებს კი დავუყენეთ ისე თვალი, რომ მათ ხელში მოვავროვეთ მთელი ქვეყნის კაპიტალი... თვით მშვიდობის ანგელოზთაც ასპარეზი გავუდიდეთ, გალობებში ჩავსხით და ჩვენს ზარბაზნებზე ჩამოვკიდეთ; სხვა რომ არ ვსთქვა, თვით ეს ფაქტი განა იმას არ ამტკიცებს, რომ ჩვენ ვდნებით, სანთელივით და მშვიდობას ვიცავთ მტკიცედ?

წამოველ, ფინეთს გადმოველ, ზღვებისა გადმომახევი, იუმორისტულ ამბების იქ შევიქენი მნახველი: ჰელსინკის კაფე-შანტანში ჯაზი უკრავდა ჩქარ-ჩქარა, შამპანიურის ბოთლებთან ცმუკავდა ტაკიმასხარა: ხელში ეჭირა პორთფელი, ყელს იღერებდა პროფილად, — (თურმე ის ტაკიმასხარა, თან პრემიერიც ყოფილა), ცმუკავდა, მალაყ-მალაყით, წალბა-უკულმა ხტებოდა, თანაც ფინური წკმუტუნით საბჭოებს ემუქრებოდა: — დავანგრევ, შავ დღეს დავაყრი, დავიპურობ, დავინაწილებ, რომ შეეუბერავ აქედან, ზღვებს იქით გადავაცილებ... — აფერუმ კაიანდერო, — ამბობდნენ სხვა ჯამბაზები, მინისტრი ერთი ტაშს უკრავს, ნაოლეში, ნადარბაზები, — იქნეოდნენ კარდონის ხმლებსა, ომს გვპირდებოდნენ ცხარესა, და მთლად წალეკვას უქადდნენ სოციალიზმის მხარესა, ამ დრიანცელის მნახელი, გადამებული რო მნახეს, — რას იცინიო? — ერთხმად ტაკიმასხარებმა მომძახეს... მე კარი მივუჯახუნე, მათ მოუმატეს მალაყებს, — ბოდეა და ღრენა ახშობდა ჯამბაზს ტინგამონალაყებს, — მაშ მიხვალ? ჩვენსა გმირობას — შალე გაიგებ იქაო, — მას ვიწამით, უცხო „ბიძიამ“ როგორაც დავგარიგაო...

ქნეს და კიდევაც იწვინეს, რაც ჩვენგან ეკადრებოდა, აწ კი იციან—ჰელსინკში რაზედაც მეღიმებოდა.



ოკეანათიული ცნობა

პარიზი 24/XI—მოზელის რაიონში წუხელის დამით რაღაცამ გაიფაჩუნა. დანარჩენ კონტრებზე გააფთრებული სიწყნარება.

რაციონალიზაცია

ლონდონი. ვინაიდან ომის მიზნების შესახებ მრავალჯერ შემოდის განცხადება ჩემპერლენის მიმართ თემთა პალატაში და, პატივცემული პრეიერი ერთსა და იმავე „პა-ლუს“ იმეორებს, ბრიტანეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, პატეფონის ფირფიტაზე გა-დაილოს ჩემპერლენის პასუხი და ყოველ მსგავს შეკითხვის დროს საჯაროდ დაუქას სხდომის დარბაზში.

კატასტროფა

ნიუ-იორკი. იარაღის გატანის აკრძალვის (ემბარგოს) გაუქმებამ ამერიკის მეერთებულ შტატების სენატის მიერ, ხელისუფლებისათვის მეტად „არასასურველი“ შედეგი გამოიღო; იარაღის დამამზადებელ ქარხნების მეპატრონეებს რამდენიმე ქალაქში ფულით სავსე პარ-ტები გაუსკდათ. მთავრობის მიერ მიღებულია ენერგიული ზომები... (ახლების შესაკერად).

„გამარჯვებული“

ტოკიო. იაპონიის ჯარმა გმირულად მიატოვა ბრძოლის ველზე ორასი ტყვიამფრტვე-გი, ორმოცი ქვემეხი, ხუთასი შაშხანა და სხ. იარაღები. გრძელდება ბრძოლა ჩინელ პარ-ტიზანებისაგან თავის დასალწვეად.

„ბ მ ი რ ე ბ ი“

პარიზი. „მაჟინოს და ზიგფრიდის ხაზზე სრული სიწყნარება. ზურგში ტყვეთ ჩაეიგდეთ ველში, რამდენიმე მუშა და 12 კომუნისტი დეპუტატი.

კრება შესდგა და დარბაზი გაქვდილი იყო ხალხით, — კოკის გული აუჩუყდა ამოდენა ხალხის ნახვით, — თავისთვის სთქვა: ხედავ, კოკი, თურმე როგორ გცემენ პატივს, — ხედავ, როგორ ყვარებიხარ რაიონის მცხოვრებ აქტივის?

შემოვიდა დარბაზში და ფეხზე აღდგენ, შეხვდენ ტაშით, — გაუმარჯოს ჩვენს კოკისო, — გაისმოდა ხმები ხალხში.

კანდიდატად ყველამ ერთხმად აირჩიეს ისევე კოკი, და ხიამით აუძგერდა კოკის გული ანატოკი

მაგრამ გაშქრა სიზმარი და სინამდვილე დარჩა მწარე, კანდიდატად არ სჩანს კოკი, რაისაბჭოს თავმჯდომარე,

უკვირს,—ნეტა რა მოხდაო, რად შემომწყრა ასე ხალხი, რად მოშვინა ჩემს წადილს და ჩემს იმედებს ბურუს-თაღნი?

ვანო, ვასო, კვლავ დატოვეს მე წამშალეს რატომ ნეტავ? უთხრეს:—რადგან შენს უბანში ერთხელაც არ შეგინებდავს.

სავარძელში ჩაბრძანდი და დიდკაცურად განისვენე, რაკი საქმეს თავს არიდებ, დაბრძანდი და დაისვენე.

ქუმბარა

ნახ. დონისა.



პრევენების მოლოდინში


— ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს და მის მდივანს აქამდე ძალიან უყვარდათ ქეიფ-სიმღერა, ახლა რატომ გაჩუმებულან? — ხმებს უფრთხილდებიან.



პარიზში

— პან, რატომ არ ვარჯიშობ რბენაში?

— უკვე გავარჯიშებული ვარ, დასავლეთ-უკრაინიდან რუმინეთის საზღვრამდე სულ შეუსვენებლად ვივარჯიშებ... წითელი არმიის გამორჩენის დროს.



ინგლისურ გაზეთ „დელი-დელას“ კორესპონდენტს მთელი ღამე არ სძინებია. სულ კომპარულ ფიქრებში იყო გართული. ხუმრობა ხომ არ არის უკვე ორი თვე გადის მას შემდეგ, რაც დასავლეთის ფრონტზე წამოვიდა... წამოვიდა და რა ზღვა იმედებით წამოვიდა.

— გავეკეთდები კაცი! რა სენსაციურ ბრძოლებს ვუყურებ! რამდენ ცნობებს ვაგავრცელებ. ბიჭმა იცის... ოლონდ ომის ნიშანი ვნახო და ბამბას ჩხრიალს დავაწყებინებ, წარსულ მსოფლიო ომში ვაკეთდნენ ჩვენი ძმა-ბიჭები. ალბათ ახლაც ასე იქნება. გონორარს ლონდონის ბანკში შევინახავ. არა, ლონდონის ბანკები ცოტა პროცენტებს იძლევიან... პარიზში იყოს. არც პარიზში ივარგებს... ვინ იცის, რა მოხდება... უკეთესია სხვა „შანსები“ დავატრიანო. მომგებიან ქალაქებს ვიყიდი... აქციონერი შევიქნები.. ჩვენი გაზეთის რედაქტორი პირდაპირ ჩამწვარია მაგ აქციებში. შარშან თუმცა იზარალა, მაგრამ წელს იარაღის დამამზადებელ ქარხნის მებატრონეთა აქციები იყიდა და კეთდება კაცი. მეც მას მივბაძე...—ფიქრობდა ის როდესაც საფრანგეთისაკენ მომავალ გემის „ჯონ ჩაყენთას“ მეორე კლასის კაიუტაში იჯდა და ბრიტანეთის ნაპირებს შორდებოდა.

— ცნობები საომარი მოქმედების შესახებ დღეში ორჯერ მაინც მოგვაწოდე!—გააფრთხილა რედაქტორმა.

— არის!—უპასუხა თამამად, დარწმუნებით, თან გულში გაიფიქრა: მოკლას ხარი თივამ და მე კიდევ კორესპონდენტის გზავნამ. სხვა რა ხელობა მაქვს? მაშ გონორარს ბუზების თვლაში ხომ არ მომკემენ.

გემში გაზეთ „ტატანოს“ კორესპონდენტი გაიცნო, გვარად უტკინსონი.

— ზღვა მასალებს ვიშოვიო. მე ამისთანა საქმეში ჰიპოპოტიმი ვარ. 1914 წელსაც დასავლეთის ფრონტზე წავიდი. მასალის გზავნას ვერ ვუდიოდი. ახლა კიდევ უკეთესი საკბილო ამბები გველის. თქვენ მარტო „დელი-დელაში“ თანამშრომლობ?—შეეკითხა თანამგზავრს უტკინსონი.

— დიდა, სერ უტკინსონ, — გაფრთხილებული ვარ, სხვას არაფერი მივაწოდო. სამაგიეროდ ორმაგ ჰონორარს დამპირდა რედაქტორი.

— ორმაგიც კარგია, მაგრამ მარტო ერთ გაზეთში თანამშრომლობა იმდენი ხეირი არ არის. მე ხუთ რედაქციასთან ვარ მოლაპარაკებული. ფრონტზე იმდენ მასალებს ვიშოვიო, რომ ვერც კი აუგა მათ ბექედვას რედაქციები. ყველას ვაგუგზავნი სამხედრო მოქმედების სხვადასხვა მომენტების შესახებ სენსაციურ ცნობებს სხვადასხვა ფსევდონიმებით.

წყნარი ღამეა. მისცურავს ზღვის დამშვიდებულ სივრცეზე გემი და გემში მჯდომ კორესპონდენტებს „გაკეთებისა“ და „აშენების ზღვა იმედები მიაქვთ.

გავიდა მის შემდეგ თითქმის ორი თვე. ფრონტზე სიწყნარეა, კორესპონდენტის გული კი ლელავს თითქმის ორი თვეა, რაც კორესპონდენტს ერთი ხვიშტის მასალა არ გაუკეთებია. ფრონტზე სიწყნარეა. რით დაინტერესოს მკითხველები? ბრიტანელთა ბანაკში მაინც,

ბერძნული სტილით რომ ვთქვათ, ეპიური სიმშვიდე სუფევს.

უცებ ღამის წყვედიადში, საღდაც, რაღაცამ გაიფაჩუნა.

— არიქა! საომარი მოქმედება იწყება.— ფიქრობს კორესპონდენტი და წინდაწინ იგონებს ეპიზოდებს ბრიტანეთის ჯარის გმირული ბრძოლების შესახებ, მაგრამ ქვეყანას კვლავ უმუშევრად დარჩენილ კორესპონდენტის გულის შემზარავი მდუმარება იპყრობს. ყოველი ფოთლის გაშრიალება, ჭოტის ძახილი, თუ მდინარის დუღუნიც კი კორესპონდენტში სისხლისმღვრელ ბრძოლების დაწყების ემოციას იწვევს, მაგრამ იმედი არ მართლდება. ინგლისელთა ბანაკში მაინც ერთი თოფიც არავის უვარდება, მარცხადაც კი არ უვარდება. აი ბედის დაცინვა. აი ბედისგან გაბითურება.

— ოლონდ ომის ოდნავი ნიშანი ვნახო და ნემს აქლემად ვაქცევ, ბამბას ჩხრიალს დავაწყებინებ.—ფიქრობს კვლავ კორესპონდენტი, მაგრამ ბედი არ უღიმდება.

— ტყუილს მიმართოს? გამოიგონოს?

არც მაგის უარს იტყვის, განა ცოტა ტყუილს წერდნენ მსოფლიო ომის დროს კორესპონდენტები? ტყუილებზე ითფობდნენ ხელებს, ტყუილი ოქროთ ფასობდა... „დელი დელისთანა“ რედაქციებისათვის. მაგრამ ახლა მისი მდგომარეობა სხვაგვარია, მან სისხლისმღვრელ ომის ამბები უნდა გააშუქოს. „გააშუქებს“. ისე „გააშუქებს“, ისეთ ეპიზოდებს დასწერს, რომ თმებს ყალყზე აუყენებს მკითხველებს. დიდა, აუყენებს, მაგრამ ერთი დიდი დაბრკოლება აქვს: საფრანგეთის და გერმანიის შტაბების კოუნსიკემ. როგორ ასწეროს „სისხლისმღვრელი შეტაკებები. როდესაც ორივე

შტაბი დაპირე ქვეყნის არმიის შტაბები საქვენოდ აცხადებენ გაზეთებში, იმავე „დელი-დელის“ ფურცლებზეც, რომ ფრონტზე სიწყნარეა.

— ო, ბედი, ბედი! ზოგისთვის დედაა და ზოგისთვის დედინაცვალი...—ფიქრობს კორესპონდენტი. ელექტრონს ანთებს და საწოლთან დაგდებულ თურქეთის გაზეთის „ტანის“ კომპლექტს ათვალეირებს.

— აი ხალხი, რომლებმაც სარფიანი „საქმე“ გაიჩინეს. მაგათ არც შტაბის კომუნიკე აფერხებს და არც სინდისი. წერენ რაც მოეპრიანებათ, წერენ რაც მათ სულს იამება და ჯიბეს გაახარებს... ჰფურცლავს კომპლექტს და შურიან თვალებს მერამდენიმეჯერ ავლებს სტრიქონებს.

3. ოქტომბერი. წითელი არმიის დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში წინ წაწევის, გამო, მოსალოდნელია შეტაკება გერმანიისა და საბჭოთა ჯარებს შორის.

1. ნოემბერი. საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ ძმურად გაიყვეს ინდოეთი. ბრიტანეთის ინდოეთი საბჭოთა კავშირს ერგო, ჰოლანდიის—გერმანიას.

31 ოქტომბერი. იტალია საბჭოთა კავშირის შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები იწყება.

30 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირმა გერმანიის დაუთმო ბალკანეთი.


31 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირი ბალკანეთს არავის არ დაუთმობს.

19 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით დაარსდა ჩინეთ-მონგოლეთის რესპუბლიკა.

კორესპონდენტი გაზეთს თვალს ამორებს, სარკმლისკენ იცქირება და ღამის სივრცეს გულისწადილს შესჩურჩულებს:

— ოხ, ბედო, ბედო! რამ მომიყვანა დასავლეთის ფრონტზე... ნეტავ ანკარის ბაზარში ვიყო... ქვას წვეწვს ვაგადენდი.

მ-ზა.



ერთ ამბავზე არაკს ვიტყვო, ერთს — უმჯობესს ორის, (სანამ ცხადში არ ახდება. დარჩეს ის ჩვენს შორის).

ერთი კაცი ბლისკინელი მზე რომ შედგა ცაზე, კოჭლი ფეხით უცხო მხრისკენ წაბანდალდა გზაზე.

ფეხით წავსვლას თაკილობდა და თვის გულებში ნატრულლობდა: ნეტავ მომცა შეკავშული რაში.

და ნატვრის დროს, მიმავალმა, უცებ მოჰკრა თვალი — გზის პირს ეგდო დაჟანგული ცხენის ერთი ნალი.

ხელი სტაცა სიხარულით, თქვა: ავშენდი კაცი, ჩემთვის სწორედ მისწრებაა, რაღა მიჭირს აწი.


რაც მინდოდა, ის ვიპოვე, ხელი მომემართა: არაფერი არ მაკლია ცხენ-უნჯაგის გარდა.

ოცნებაში ცხენზეც შეჯდა, ნელა ჩაახველა. აჩუ ცხენო ჩამოდექითი გზა მომეცით ყველამ,

გასწი, გასწი ბედაურო, გადაველე მთა-ბარს, თქვა და შეხტა, შეტორტმანდა, ხელით ეცა ფაფარს.

მაგრამ აღლომ უღალატა, გაუცუდდა თვალი, გაჰჭრა ცხენი და ხელთ შერჩა დაჟანგული ნალი.

ბრიტანეთის დაპირებამ გაახსენა ის ნალი, ფინლანდიის ყოფილ ზუბრებს ასეთი ხვდათ ფინალი.



მათთან

— რა ამბავია თუ იცი? — არაფერი... ქვანახშირის მალაროებში მუშები აჯანყდნენ და ესენი დასამშვიდებლად მიდიან.

გრაჟოროზიბუდი სიყვარული

ამ ერთი თვის წინათ, მე და ერთი ჩემი მეგობარი, მწერალი — გერმოგენ კარალელი სოფლად მიგვაგლინეს რედაქციიდან. არც ისე რთული იყო ჩვენი ვალდებულება: ნარკვევები უნდა დაგვეწერა სოფლის ცხოვრებიდან.

— მე ფიქტაფიაც არა მწამს სიყვარულის გარეშე. — აიხირა გერმოგენმა — აბა, რა ელფერი ექნება ნარკვევს, სიყვარულის საკითხი თუ არ იქნა ჩაქსოვილი შიგ?

— შე კაი კაცო, — გამეცინა მე, — ჩვენი სოფლის მოსახლეობის მატებამ, უცხოეთის სოფლის მცხოვრებთა მატებას, ვინ იცის რამდენჯერ გადააჭარბა. სიყვარულის შედეგია ეს ყველაფერი, მაშ ცერცვის დათესვით ხომ ვერ მიიღწევდნენ ამას. მოდექი და წერე სიყვარულზე, მაგაზე მეტს რას ნახავ.

— ეჰ, ძნელია, ჩემო ძამია, სიყვარული! — ხმამაღლა ამოიოხრა კარალელმა.

— სიყვარულის გარეშე ნარკვევის დაწერაზე უფრო?

— შენ გეხუმრება და გამოცდილი რომ გქონდეს, აგრე არ მეტყვოდი.

— რა „მმაჩი“ გამიწყრა, რაზე არ გამოცდიდი?!

— რა ვიცი, ასე იოლად კი ლაპარაკობ და.

— მაშ თავი რომ მოვიკლა, მკედარს ვინლა შემეყვარებს! — მივუგე გერმოგენს და დავაბოლოე, — როგორც გეტყობა, ძალიან ჩავვარდნია გულში ვილაცა. მოდი ჯავრი ამოიყარე იმ შენს სატრფოზე და ერთი რიგიანი ლექსი დაუწერე.

— ლექსს კი არა, თუგინდ რომანსაც დაუწერ, მაგრამ, რომ არაფერი გამოვა?

— რატომ, ბიჭო, ასეთი უშნო ხარ?

— შნო რა შუაშია, ყოველგვარ ზოშას მივმართე, არაფერი მოდის.

— რა პროფესიისაა?

— ბულალტერია.

— ლექსებს ხომ არ უკითხავ ხოლმე?

— აუარებელს.

— მაგას დაუღუპავხარ, რაზე აძულეზ თავს, ლექსის წაკითხვაზე აუხსენი, რომ ლექსის სტრიქონი ხუთი მანეთი ღირს და ნის სიყვარულით დადნება.

* * *

შემოდგომა იყო, ყურძენი მწიფდა და ახალმა გარემომ გულკაეშანი გადუგდო ჩემს თანამგზავრს. სოფელში გულუხვად შეგბნენ, კარვად დაგვაბინავეს.

მეორე დილას, ლოგინიდან წამოვდექით თუარა, გერმოგენს პორთფელი გახსნა, ქალაღის ორმოცამდე ფურცელი ამოიღო წერას შეუდგა.

— რას თხზავ, გერმოგენ? — შევეკითხე.

— ნარკვევს ვწერ.

— რის შესახებ?


— აი, რის შესახებაც დაგვაგაღეს.

მზე რომ დაიწურა, სოფლის კლუბთან მოგკარი თვალი თანაღლენილს. კოლმეურნეებს მოყვებოდა გვერდით პირმოლიმარი.

— მე ერთი ნარკვევი უკვე მზალა მაქვს. — მომმართა.

— მოფიქრებული?

— უკვე დავწერე კიდეც.



ჩვენი

— რაშია საქმე, თუ იცით?

— არაფერი: ქვანახშირის მალაროებში მოძრავი ესტრადა მიდის კონცერტების გასამართავად.

— საინტერესოა!

— იცი რა, შემთხვევა გერმოგენმა, — მოდი წავიკითხავ, მუდრო ადგილი მოვნახოთ სადმე, მომისმინე, ჭკვიანური რჩევის მოცემა იცი ხოლმე ხანდახან.

დავთანხმდი. სოფლის წყაროსკენ გავეშურეთ ნარკვევის წასაკითხად.

აქ კი, მოულოდნელი რამ მოხდა: წყაროს კედელთან ატუზულ გოგო-ბიჭს წავაწყდით, ჩურჩულდნენ.

— შეყვარებულები უნდა იყვნენ, — წამჩურჩულა კარალელმა, — მოდი ყური დავუგდოთ, საინტერესოა.

მე უხერხულობა ვიგრძენი, მაგრამ გერმოგენ კარალელის ცნობის მოყვარეობას მაინც ვერ ვუღალატე.

— ვაჟმა ქალს მიმართა:

— ლელო, ჩემო ლელო, აი ეს ატამი შენთვის წამოვიღე ვენახიდან.

— ბიჭო, მთელ დღეს ვენახში ვიყავი, ატამის მეტი რა იყო, მე კიდევ ატამი მესაჭიროება?

— კი არ გესაჭიროება, მაგრამ, ხომ იცი კაცის გული, რომ შეგხედდეს ისე იყო დაბრაწული — შენი ლოყები გამახსენდა და ვთქვი, ეს ატამი მაინცდამაინც ლელომ უნდა შეჭამოს მეთქი.

— კაი, რახან შენ გინდა, რა...

— ლელო, ჩემო ლელო, კი არ გეწყინოს და...

— ეგ რა საწყენია, ბიჭო!

— ეგ კი არა, სხვა რამე.

— სხვა რა?

— აი, გუშინ რომ ქალაქს ვიყავი...

— რა მოხდა?

— რა ვიცი, მერიდება?

— შენ, ჩემი გერიდება? არ გრცხვენინა?

— რა მოხდა და ერთი ცისფერი საკაბე მომეწონა, გიყიდე, სალამის გადმოვიტან და თქვენებს არ უთხრა, თუ მე გიყიდე. რა ვიცი, ხალხმა ჭორაობა არ დაიწყო.

* * *

დიდხანს არ გავგრძელებულა ჩვენი საუბარი. დავშორდით და გერმოგენის ნარკვევის კითხვას შევუღდექით. თავი რომ არ შეგაწყვი-

ნოთ, აქ, გერმოგენის ნარკვევის მხოლოდ იმ ნაწილს მოვიყვან, სადაც აღმოდებულ სიყვარულის ამბავია მოთხრობილი:

ქონე რა იყოფი რა ღაშაშაი სიყვარულს ქრატქოსის გონზე!
გოგო წრატქოსისაან იტა, ჩადსჯადილი გოგო. სიყვარული
აღმოცდალი ქრატქოსისაან იტა, ჩადსჯადილი გოგო. სიყვარული
აღმოცდალი ქრატქოსისაან იტა, ჩადსჯადილი გოგო. სიყვარული

ამ დროს ბიჭი გაოცდა.

— შენ გენახავი, გოგო, გაუბრუნებელი ვსხის წარში, ჩა

გაუბრუნებელი ვსხის წარში, ჩა

— შეს. ბიჭო, ქრატქოსისაან იტა, ჩადსჯადილი გოგო. სიყვარული

გაუბრუნებელი ვსხის წარში, ჩა

— გიყვარული? ამა ჯომბაინი დაივიწყა.

— ჯომბაინის ივლებს გეგვიყვარ, მიყვარხარ.

— ავლები რა არის, შადელი ჯომბაინი დაივიწყა

— შადელი ჯომბაინი დაივიწყა, მუყი ჩა გიყ

— იაუ დაივიწყა, ერა ნახავი ჭკვიანის მოვხავ და ბ

რე. გახსენებ...

ფიქრობ: მკითხველს აღარ აინტერესებს რამდენი ჰექტარის მოხვნაზე უცადა გოგომ, რომ ბიჭს ეკოცნა კიარა, ქალის კანონიერი ქმარი გამხდარიყო.

ჩემთვის კი ერთია საინტერესო:

რა პასუხს გასცემს კარალელს თავისი „ნესტანი“ გერმოგენმა რომ ასე მიმართოს:

— შენ გენაცვალე, გოგო, საანგარიშო ჩოთქის გასაკრავ-გამოსაკრავ თვლებში...

ვინ იცის, იქნებ ასე არ მიმართოს გერმოგენმა თავის სატრფოს?..

საღამო არის ბაღი ზენი — იქ მივიყვანს ზუხი ზენი


ერთერთი რაიონული თეატრის ხელმძღვანელი სთხოვდა ხელისუფლების საქმეთა სამმართველოს რეპერტუარში დაემტკიცებინათ ამ თეატრისათვის რაღიელ ერისთავის კომედია „ხანუმა“.

ინფორმაციური
ბიულეტენი

ნახ. გ. ისაყვისა.



1. აღაღამ და სიბიტიამ მომავალ ლიტერატორს ავანსად ჩინებული ვანუში გაუმართა, გამოაწვევს, მხარზე ხურჯინი გადაჰკიდებს და თბილისსაკენ გზა დაულოცეს.



2. დიომიდე ჭამაულაბიძე გამოცდებზე კომისიის წინაშე წარსდგა: — რას იტყვით ჭავჭავაძის შესახებ? — შკითხეს მას. — ჭავჭავაძე დიდებული მგოსანი იყო, რომელმაც უკვდავი შედეგო „სულიყო“ დაგვიტოვა. — იყო დიომიდეს უნუგეზო და ხანუგეშებელი პასუხი.




3. უშაღლებგარეშე დარჩენილმა დიომიდემ სამსახურის ძებნა დაიწყო. უპროფესიო ხალხი არ გვეჭირდებაო, — უთხრეს სამსახურისათვის მისულ დიომიდეს საქმილობამარაგვასაღებაში და გამოისტუმრეს.




4. წვრილი ბიჭი ხარ, ჯანი ხელს არ გიწყოფს, შენთვის ბურთის ერთი ჩარტყმაც საკმარისი იქნება. მსაჯათაც ვერ გამოდგები, — ასეთი პასუხი მიიღო დიომიდემ ფეხბურთელებისაგან.



5. შენ თითონ შესაკეთებელი ხარ, ხელობა არა გცოდნია, ხარჩენად ჩემი ოჯახიც მიყოფა, შენ რა უნდა გამოიკეთო, — უთხრა დიომიდეს მიჩქმეთა არტილ „შეკეთებას“ ერთერთმა ოსტატმა.



6. უსაქმოდ დარჩენილი დიომიდე ახლა იმ რაიონის თეატრის რეჟისორია, საიდანაც მოითხოვს რაღიელ ერისთავის „ხანუმა“ და დასაღმეღად ამზადებს „მეფე ლირს“.



დღის სრული სამი საათი იყო, როცა სილიბისტრო ხანჯალაძემ მორიგეობა გაათავა და სახლისაკენ გასწია. დღეს ორი მორიგეობა ერთმანეთს გადააბა, რადგან ამხანაგი ავად გაუხდა და მეტად მოქანცული დაბრუნდა. სახლში წერილი დახვდა, სკოლაში უძახდნენ, როგორც მშობელს. სილიბისტრო საჩქაროდ გაემართა სკოლისაკენ.

გზაში სილიბისტროს მრავალი ფიქრები აღეძრა. მის ერთადერთ ვაჟს, ვალოდიას, რომელიც ადრე დაობლდა და დედის ალერსს მოკლებული იყო, მისი მზრუნველობაც აკლდა, ამიტომ არის, რომ მას დღეს სკოლაში იბარებენ. „ალბად მეტად ცელქობსო“ გაიფიქრა სილიბისტრომ და ფეხს აუჩქარა.

სკოლაში უკვე მეცადინეობა დამთავრებულიყო და სილიბისტრომ გადასწყვიტა პირდაპირ ბინაზე მისულიყო მასწავლებელთან.

— პატივცემული ნიკანდრო შინ ბრძანდება? — შეეკითხა სილიბისტრო ახალგაზრდა ქალს, რომელმაც კარი გაუღო.

— შინ გახლავთ, მობრძანდით.

— დიდი ბოდიში, ამხანაგო ნიკანდრო, რომ შეგაწუხეთ, მე ვალოდია ხანჯალაძის მამა ვარ, თქვენ წერილი გამოგეგზავნათ, სკოლაში ვეღარ მოგისწარით და სახლში მოგაკითხეთ... იმედია არ გეწყინებათ.

— არაუშავსრა, დაბრძანდით, — მიმართა მასწავლებელმა სილიბისტროს.

— უნდა მოგახსენოთ ამხანაგო სილიბისტრო, რომ თქვენი ბავშვი მეტისმეტად ცელქია, აკლებული აქვს მთელი კლასი... იმედია არ გეწყინებათ და სწორედ გითხრა, მშობლების მზრუნველობა სავსებით არ ეტყობა თქვენს ბავშვს. თქვენ ნაკლებ ყურადღებას აქცევთ მის აღზრდას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა პედაგოგიკის წინაშე სდგას მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ჩვენ, პედაგოგებმა, ღირსეულად უნდა გადავსკრაოთ... ხოდა უნდა მოგახსენოთ რომ...

და ნიკანდრომ მთელი ნახევარი საათი ილაპარაკა მასზე, თუ როგორ სათუთად უნდა მიუდგეთ პატარა ბავშვებს, როგორი სიღრმით შევისწავლოთ მათი სულიერი მდგომარეობა, როგორი დიდი დრო უნდა დავხარჯოთ მათს აღზრდაზე, რომ ისინი საუკეთესო მშენებლები იყვნენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსიო.

ნიკანდრომ ღრმად და ფართოდ გაშალა თავისი საკუთარი თეორია ბავშვების აღზრდაზე და კიდევ დიდხანს არ ფიქრობდა საუბრის დამთავრებას, რომ მეუღლეს ისინი სადილზე არ მიეწვია.

სილიბისტრომ თუმცა ბევრი იუარა, მაგრამ სადილად მაინც დარჩა და მასწავლებლის მეუღლის გვერდით დაიკავა ადგილი.

ნიკანდრო დღეს საუცხოო გუნებაზე იყო, რადგან მის საუბარს ყურადღებით უსმენდა სილიბისტრო და სადილის დამთავრებისთანავე კვლავ განაგრძო შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება.

— ხო და იმას მოგახსენებდით ამხანაგო სილიბისტრო, რომ ბავშვი რომელიც სათანადო დისციპლინის ქვეშ არ აღიზრდება,

როგორ ძნელზე უძნელესია მისი გარდაქმნა და სათანადო კალაპოტში ჩაყენება, როგორი ენერჯის დამძაფრება გვესაჭიროება ჩვენ, პედაგოგებს... და ნიკანდრო კვლავ დიდხანს ილაპარაკებდა, რომ უცაბედად ყურადღება არ მიექცია თავისი მეუღლისა და სილიბისტროსათვის, რომლებიც მას თითქოს სავსებით არ აქცევდნენ ყურადღებას და უცნაურად შესცქეროდნენ ურთიერთს.

— როგორც გატყობ თქვენ სავსებით არ გაინტერესებთ ჩემი საუბარი—მწყურალად აიმაღლა ხმა ნიკანდრომ.

— როგორ არა... რასა... ბრძანებთ... მე დიდის ყურადღებით ვისმენთ.— დარცხვენითად შეიშმუშნა სილიბისტრო და თვალები უაზროდ შეაშტერა მასწავლებელს.

ნიკანდრომ აღარაფერი სთქვა და ზეზე წამოდგა... ნიკანდროს მეუღლემაც და სილიბისტრომაც მოინდომეს ადგომა, წამოიწიეს და... ისევ დასხდნენ... ერთმანეთს კვლავ უცნაურად შეხედეს, პირველს ზაფრანისფერი დაედო, მეორე კი—თეთრ ტილოს დემსგავსა. ნიკანდრო აიძრინა, თითქოს დანა გაუყარეს გულშიო. ეს რა ამბავი ხდება? თითქოს თვალებს არ უჯერებს. ნუ თუ ასე უსირცხვილოდ, მის თვალწინ მას თავს ლაფს ასხამენ. სად დაქარგათ ზრდილობა, სინდისი, სირცხვილი,

ნამუსი? ეს ხომ პირდაპირ გასაგებებელია ბავია?

— სადილი უკვე დამთავრდა... დრო ბავშვს მიხედოთ.— ჩაილაპარაკა ციფრ, მაგრამ უკვე აკანკალებული ხმით ნიკანდრომ და მეუღლეს საშინელი სიძულვილით ჩახედა თვალეში.

— გაუშვი ფეხი, ჩუმად წაიჩურჩულა ნიკანდროს მეუღლემ და საბრალო სახით შეხედა სილიბისტროს.

ნიკანდრო მრისხანებით აივსო, ერთ წამს დააცხრა სილიბისტროს და სკამიდან მოგვჯა... თოკი გაწყდა... ცოლი გულწასული დეცა, სილიბისტრო გაშტერებით დასცქეროდა მის ფეხზე გამობმულ თოკის ნაწყვეტს, შეცხვენილი ნიკანდრო კი—ერთ ადგილს გავადა... ტანტისქვეშ. სიცილით იგუდებო ნიკანდროს შვიდი წლის ბავშვი, ცელქი გასევანი, რომელმაც მშობლებისა და სტუმრსაუბარში გართვით ისარგებლა და თვითონ გაერთო სილიბისტროს დედამისის სკამზე მბით.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, დაფარული გულმოსულობით მიუგო სილიბისტრო მასპინძელს,—ბავშვებს ოჯახშიც სერიოზულ აღზრდა სჭირდებათ.

დავითა.

ლესიჭინავს ელსადგურთან

ნახ. ღონისა.



— რა ამბავია, რომ ჩვენი ელსადგური უმოძრაოდ დგას?

— სამაგიეროდ ელექტრომექანიკოსი კულინიჩი მუდამ მოძრაობაში იმყოფება... ბახუსის გავლენით.

აღმოსავლური გონება-მანვილობა, რომელიც, სხვათა შორის, მოლა მასრადინას სახელით არის ცნობილი, უძველეს დროშივე გადასულა რუსეთში და იქ მეფე ვასილი მეორის მოქაშის, დიმიტრი შემოაკას ყბადსაღებად გამოუყენებია უცნობ სატირიკოსს. რედაქციას საინტერესოდ მიაჩნია ეს სატირა მკითხველს წარუდგინოს „მოლა მასრადინას სამართალთან“ შესადაარებლად, რომელიც პატივცემულ შალვა დადიანის მიერ სცენისათვის გადაბეჭდული „ნიანგი“-ს 1938 წ. № 21-ში იყო დაბეჭდილი.

რედაქცია.

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ორი მიწის სუზა-ძმა; ერთი იყო მდიდარი და მეორე ღარიბი. მდიდარი ეხმარებოდა ღარიბს, მაგრამ კაპიტურებისაგან თავი ვერ დაახვეწინა. ერთ-ელ ღარიბი მივიდა მდიდართან და შეშის აღმოსატანად ცხენი სთხოვა; ძმას არ უნდოდა ცხენი ეთხოვებინა და უთხრა: „ბევრი მოიცილა შენთვის ძმაო, მაგრამ არაფერი გეშველა“. ბოლოს მაინც ათხოვა ცხენი; ღარიბმა ხლა ცალული სთხოვა. ამ თხოვნამ მდიდარი ააბრაზა და ძმას გინება დაუწყო: „ცალუ-ვიც კი არ გაგაჩნია, რა კაცი ხარო“ და ხოვნაზე გადაჭრით უარი უთხრა. ღარიბი ავიდა შინ, გამოათრია მარხილი, ცხენი კუდით იაბა, გაემგზავრა ტყეში და შეშა მოიტანა; აგრამ ეხოში ჩასვლის დროს დაავიწყდა ჭიშრისთვის ზღურბლი ჩამოეშორებინა და ცხენს ათრახი დაჰკრა. ცხენი ზღურბლზე გადახტა

რიბი სულ იმაზე ფიქრობდა, ძმისა და მღვდელის საჩივარი დამლუპავსო, გადაწყვიტა თავი მოეკლა, გადაეარდა ხიდიდან, დაეცა ბებერს და სული გააცხებინა. ღარიბი. დაიჭირეს და მოსამართლეს მიჰგვარეს. ღარიბს უნდოდა თავი გადერჩინა, მოსამართლე როგორმე მოესყიდნა და, რადგან არაფერი ჰქონდა, მოისაზრა: აილო ქვა, გაახვია ხელსახოცში, ჩაიდვა ქულში და მოსამართლის წინაშე წარსდგა. მდიდარმა ძმამ მოსამართლეს საჩივარი მიართვა. შემთხვევით მოისმინა საჩივარი და ღარიბს უთხრა: „უპასუხეო“. ღარიბმა არ იცოდა რა ეპასუხნა, ამოიღო ჯიბიდან შეხვეული ქვა, აჩვენა მოსამართლეს და თავი დაუკრა. მოსამართლემ იფიქრა, ღარიბი ძმა ქრთამს მპირდებო, მიუბრუნდა მდიდარს და უთხრა: „რადგან მან შენს ცხენს კუდი მოჰგლიჯა, ცხენი უკან არ დაიბრუნო, სანამ კუდი არ

ლო შეხვეული და მოსამართლეს უჩვენა. მოსამართლეს ეს მესამე საჩუქრად მოეჩვენა და მომჩივანს მიმართა: „გადი ხიდზე, მამა შენის მკვლელი კი ხიდის ქვეშ დადგეს, ხიდიდან გადმოვარდი, დაეცი მკვლელს და იმგვარადვე მოჰკალი, როგორც მან მამაშენი მოჰკლაო“.

გასამართლების შემდეგ მომჩივნები და მოპასუხე გარედ გამოვიდნენ. მდიდარმა დაუწყო ღარიბს ხეწვა, ჩემი ცხენი დამიბრუნეო, ღარიბი კი უპასუხებდა: „სასამართლოს განაჩენით ცხენს მაშინვე მოკარტმევე, როგორც კი კუდი გაეზრდებაო“. მდიდარმა ხუთი მანეთი მისცა ღარიბს. ოღონდ ცხენი დამიბრუნე და უკუდო იყოსო. ღარიბმა ხუთი მანეთი აიღო და ცხენი დაუბრუნა. ღარიბმა სასამართლოს განჩინების ძალით მღვდელს ცოლი მოსთხოვა, რომ მასთან შვილი შეეძინა და შემდეგ შვილიანად უკან დაებრუნებინა. მღვდელი შეეხვეწა ცოლს ნუ წამართმევო. ღარიბმა ათი მანეთი გამოართვა. მესამე მომჩივანსაც უთხრა ღარიბმა: „სასამართლოს განჩინების ძალით ხიდზე უნდა დადგი, მე ქვევით დავდგები, თავზე დამეცი ისე, როგორც მე დავეცი მამაშენსო“ იმ კაცმა იფიქრა: ხიდზე გადავარდე – შეიძლება მას ვერაფერი დავაკლო, მე კი დავიმტვრევიო და შერიგება სთხოვა, ქრთამი მისცა, ოღონდ ჩემს გადმოვარდნაზე უარი სთქვიო. ასე და ამგვარად ღარიბმა სამივესაგან მიიღო ფული. მოსამართლემ მსახური გამოუგზავნა მოპასუხეს, დაპირებული სამი შეკვრა გამოერთმია. მოსამსახურემ მოსთხოვა მოპასუხეს ქულიდან რომ რაღაცას შეკრულს ჰპირდებოდი მოსამართლეს, მომეციო. მოპასუხემ ამოიღო ქულიდან ქვა და აჩვენა. მსახურმა ჰკითხა: „ამ ქვას რად მაჩვენებო?“ მოპასუხემ უთხრა: „ეს იყო მოსამართლისთვისო“. მოსამართლემ უფალს მადლი შეღალადა, რომ ასე გაასამართლა ისინი. ღარიბი გახარებული წავიდა შინ.




სათევად ნაცნობ მღვდელთან შევიდა. ღარი-
-ც ამ მღვდელთან მივიდა და კედელზე მალლა
ქედლი ტახტზე დაწვა. მდიდარმა უამბო
უდელს, თუ როგორ დაეღუბა ცხენი და
ისთვის მიდიოდა ქალაქში. მღვდელი და
იდარი ვახშამს მიუჯდნენ, ღარიბი კი არ
იწვიეს სუფრაზე. ღარიბმა დაუწყო ცქერა,
უ რას სჭამდნენ მისი ძმა და მღვდელი, ჩა-
ვარდა ტახტიდან, დაეცა აკვანს და მოახ-
ხო მღვდლის ვაჟი. მღვდელიც მდიდარ ძმას
ჰყვა ქალაქში მოსამართლესთან საჩივლე-
ლ. ღარიბი მათ მიჰყვა ქალაქში, უნდა გადაე-
ათ ხიდი; ამდროს ვილაცას მიჰყავდა ხი-
-ქმ თავისი მამა აბანოში ტანსაბანად. ღა-

გაეზრდება და, როცა კუდი გაეზრდება, მაშინ
შენი ცხენი წაიყვანეო“. შემდეგ დაიწყო მე-
ორე საქმე: მღვდელი შვილის სიკვდილს სჩი-
ოდა, ამ კაცმაო შვილი დამიხრჩოვო. ღარიბ-
მა აქაც აჩვენა მოსამართლეს შეხვეული. მო-
სამართლეს ეგონა მეორე საქმისათვის მოპასუ-
ხე ოქროს მეორე შეკვრას მპირდება ქრთა-
მათო და უთხრა მღვდელს: „რადგან მან შენ
შვილი მოგიკლა, მიჰგვარე მას შენი ცოლი და
მასთან იყოს, სანამ ეს კაცი შვილს არ შეს-
ძენსო; მაშინ კი ცოლი წაიყვანე ბავშვიანა-
თო“. შემდეგ დაიწყო მესამე საქმე. — ხიდი-
დან გადმოვარდნილმა, რომ მოუკლა
მომჩივანს მამა. ღარიბმა ქულიდან ისევ ამოი-


თარგმანი:

ნ. ლორთქიფანიძის.



- ცეცხლ-გოიბანე-ისინი...

ცეცხლი...



- არ მოვცილდებთ მლაშე-ცემლები...

სიმლაშე...

კაკად გუდუმი

პატიოსნება

ჩვენს გაზეთებში ხშირად შეგხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მო-
სახეობა მოლარეს უკან დაუბრუნა გადაყოლებული ათასი ან ორათასი მანეთი.
პოქმედებას, რასაკვირველია, პატიოსნება ეწოდება. მაგრამ არის მრავალი სხვა
ეს პატიოსნებაც.

აი, მაგალითიც: ჩვენს ხელთ არის „თბილისილიბოსტანეაჭრობის“ ღვინის იარ-
კი, რომელთანაც სილამაზით იშვიათად თუ მივა ახლოს სხვა რომელიმე ღვი-
იარლიკი, მაგრამ ერთშია საქმე:



სუფრის
ემბლემა

როგორც მკითხველიც ხედავს, ამ იარლიკს მართა ერთი სიტყვა აწერია: „სუ-
ფრა“. მორჩა და გათავდა, მეტი არაფერი. იქნებ იტიქროს მკითხველმა, რომ ეს
ლიკი ღვინისა არ არის? ჩვენც ასე გვეგონა, დავეჭვდით, გავხსენით ბოთლი
სილიონის საშვალეებით შევამოწმეთ შიგ მოთავსებული სითხეს ფერი ღვინისა
აქნა, გემო კი... გემო გავსინჯეთ და მაშინ დავრწმუნდით, რომ ამ იარლიკზე
აითარი შეცდომა არ არის, სითხე სუფრის დასალაქავ საშვალეებად გამოდ-
ი. მაგრამ ღვინობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ იხამს. ალბად ამით უნ-
იხსნას; „თბილისილიბოსტანეაჭრობას“ სიტყვა ღვინო არ დაუწერია იარლიკზე,
აქნადაც პატიოსნური საქციელი.

ხოკე.

„უპატრონო ეკლესიას ეზააკები უმსვიან“

მანარაძეში, აბაშიძის ქუჩაზე, არის საუცხოო ბალი 0,40 ჰა-ს
ბაობზე. რა გინდა რომ არ ხარობდეს ამ ბაღში: ციტრუსები,
ბლახვა ხეხილი, ვენახი, ყვავილები; მისი წლიური შემოსავალი
ბლოგებით 15 ათას მანეთამდე აღწევს. ამ ფართობში ჩადგმუ-
რაღაც სეფისმაგვარი. ზოგი მას კათოლიკეთა ეკლესიას ეძახის,
ში სალოცავს და ზოგი ვინ იცის კიდევ რას.

ბენიადან ეს „სულიერი“ საკბილო ქუთაისთან კარგა მოშორე-
მდებარეობს, ქუთაისელმა კათოლიკურ ეკლესიების მეთაურმა
მე დამიანე სააკაშვილმა მისი „ათვისება“ ასეთი ბრძანებით მოა-
იგია:

„ივანე ანტონის ძე ამირხანოვს!

წინაშე რა მცველად ქალ. მანარაძის ფრანგების (კათოლიკეთა)
სოცავ სახლის თავის მიდამოთი, მიცვალეულ იოსებ ზარმსკის
სალზე. გავალბ სინდისიერად და პატიოსანი ყოფაქცევით (სტი-
ლდაცულია, რედ.) მოუაროთ მაგ მიდამოს, შეგიძლიათ ისარგებ-
კო გაშენებული ბაღით, ხეხილითა და მიწით იმავე პირობებში,
კირობებშია ციო მიცვალეული ზარმსკი, ე. ი. იმუშავეთ, ჭა-
სვით, ჩაიკვით, დაიხურეთ შესაფერისნაირად და რაც გადარ-
ს დაახმარეთ სალოცავი სახლის საჭიროებას.

წინამძღვარი ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის: დონ დამიანე სა-
ილი“.

უპატრონო ეკლესიის „ბრძანებით“ დანიშნული ამირხანოვი აგერ უკვე
ავთე წელია ამ ქონებას მადიანად სჭამს, სვამს, იცვამს, იხურავს
როგორც მორჩება იმას ახმარებს... კვლავ თავის საკუთარ სტომაქს.
უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შესევიან“ და ამ მდგომარეობას
ახარაძის რაიფინგანიდან გულდამშვიდებით შესცქერაინ.

ყლაპაძე



ვერ ნახო ხორცის ნასახი...

(ქუთაისი)

ბედგარგიურ ინსტიტუტს სასადილო აქვს ქებული,
შიგ თავისუფლად თარეშობს ქუჩის ძაღლების კრებული.
სტუდენტ რაყოყოს მოუნდა ეგემებინა სადილი,
შეჩოჩდა სასადილოში სურს აისრულოს წადილი:
ჩეკი აიღო ჭაბუკმა, კერძისთვის რიგში ჩადგაო,
ჯერ შუადღეა... ლოდინში მალე სადამოც დადგაო,
ბოლოს აიღო სოუსი ჭამით დატკობას მოვლის;
საინს დახედა, გაოცდა—ძვლებია, რაღაც ცხოველის,
თუნდ მიკროსკოპით გასინჯო, ხორცის ვერ ნახო ნასახი.
განცვიფრდა, დარჩა პირლია ეს აზოდენა ყახახი:
— ყარამანს, ამ ჩვენ, მზარეულს—ვერ გავუბედავ დაობას,
ხედ წვეწა არის, მას დავებრებ — სჯობიან სულ არაობას.
ასე სთქვა დიწჯად ბიჭმა და კოვზის საძეანად წავიდა, —
დაბრუნებამდე სოუსი ძაღლების კუჭში ჩავიდა.
რაყოყოს სახე დარდილია მუნ მწუხარებამ ძლიერმა, —
აღა შინისკენ მოუსვა შერცხვენილმა და მშვიერმა.

3. გუხუჩილი

„საწყალი“ ბრალდებულები

ამხანაგო ნიანგო! კოხნარის (ჩოხატაურის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯ-
დომარემ იოსებ ახალაძემ, საწყობის გამგემ ხარითონ ვაჩიშვილმა, მონაგარიშემ
ლეონიდე თავართქილაძემ და კოლექტივის ყურძნის ჩამბარებელმა კოსტა ვაჩი-
შვილმა, კოლექტივის გაუფლანგეს „მხოლოდ“ 6 000 მანეთი, მოპარეს „მხოლოდ“
216 ფუთი სიმინდი და 43 ცენტნერი ყურძენი.

ამ „პატარა“ დანაშაულისათვის ჩოხატაურის სასამართლომ:
იმსჯელა და დაუწერა
მათ უებრო რეცებტი:
ორი წლიდან, ხუთ წლამდე
შინ ვერ შოვა ვერც ერთი.

ამხ. ნიანგო! გთხოვთ ეს ამბავი გაავრცელოთ რესპუბლიკაში, ზოგიერთ კოლ-
მეურნეობის მესვეურთა საყურადღებოდ.

რვათვალა.

„ოგი ზირიან ლორებთან“

ზვანის (მანარაძის რაიონი) ჩაის ფაბრიკაში უცნაური ამბავი მოხდა: სასადი-
ლოს გამგე ილია გადამეტრა ერთ ჭირიან ღორს და შურისძიების საფუძველზე
ცივი იარაღით (ყანგინი დანით) გაუგმირა ყელი, როგორც შემდეგ გამოირკვა
ილია საერთოდ დაუძინებელი მტერი ყოფილა ჭირიანი ღორებისა, რომელთაც
შეუბრალებლად ზოცავს, მუშა-მოსამსახურეებს ატყევეს ხოლმე და იმ ნიხრის მი-
ხედვით ახდევინებს ფულს, როგორც ჯანსაღი ღორის ხორცზე დაწვესებულ.

ადგილობრივი საექიმო პერსონალი აქ უჩვეულოს არაფერს ხედავს. სამაგი-
როდ ილიას სისხლიანმა ომმა ჭირიანი ღორების წინააღმდეგ აღაშფოთა მეხან-
რე ბურაკოვი. ამ ნიადაგზე იგი პესიმიზმში ჩავარდა და შვებას მხოლოდ არაყსა
და ღვინოში პოეებს. დაღვეს და დაიძინებს, გამოიღვიძებს და დაღვეს, დაღვეს
და ისევ დაიძინებს.

ასე რომ, ჭირიანი ღორების გარდა, ზვანის ფაბრიკის სასადილოს ხელმძღვა-
ნელობამ, ერთი მეხანძრვც შეიწირა და ვინ იცის, იქნებ მოსადილებიც შეი-
წიროს.

უჩინარი.





სიღნაღი ვრცელა ჩვენს ქალაქს,
ეხლაღ ესა აქვს სახელი,
ბუნების სილამაზითა
ჰკვირდება ყველა მნახველი.

მის კეთილმოწყობაზე კი—
ნურგინ იქნები მძრახველი.
ქუჩები ბევრგან შეკეთდა,
წინათ ტალახის მშოველი,

ყვავილნარები გვამკობენ—
სურნელებისა მთოველი,
მაგრამ ჩვენს კომგანისაგან
ჩვენ მაინც მეტსა მოველით.

ჭინო თეატრსაც ვაშენებთ,
კუს ცოცვით მიდის კეთება;
ვინ იცის, რადის ეღირსოს
ამ საქმეს გამოკეთება.

საშემოდგომოდ შეგვიპირდნენ,
ამიტომ მოგველხინება,—
მის მშენებელმა კარლომა,
ჩემი შეხლულდა ინება.

ხლულე მოაველეს შენობას—
ვითა რიგი და წესია,

შიგ ჩემი ბინაც მოემწყვდა—
კორტონზე უმაღლესია.

ალარც გზა, ალარც ბილიკი,
ბოღმა გულს შემომესია.
მშენებლობაზე გავლა ხომ
არავეითარი წესია...



აეროპლანით ვიფრინოთ,
არცა მაქვს, თანაც ძვირია,
ბარაშუტებით ჩამოვხტეთ,
ასვლა ხომ გასაჭირია.

დავღონდი, ამ გასაჭირზე,
დავჯექ, ვიფიქრე მრავალნი,
და ბოლოს საუკეთესო—
მოვნახე გამოსავალი:

სახლის სვეტიდან გავაბი
თოქი-უმსხოსი მკლავისა,
გადავიტანე ქუჩაში,
ვითა ბაგირი ნავისა,

ზედ ჯამბაზივით გავდივარ,
ალარ გვცალია დავისა.
ანდაზად არის თქმულება;
„ზოგი ჭირია მარგიო“,—

ასეც მომიხდა. წილად მხვდა
შემთხვევა ძლიერ კარგიო,
ველარც ქურდები შემოვლენ,—
მეკარგებოდა ბარგიო.

ალარც მაწუხებს სტუმარი,
სარჩო მიჩნება სარგიო.
ამრიგად, იმ იწყინერმა,
მე ჯიბრით ვერა მიყორა,

დაპირებული კინო კი—
მარტო ქვით შემოიყორა.

ცხრაკბილა

ჩვენს უოსვა

ხრესილ ოღლის (ს. ხრესილი) გინდა ხრესილ-ოღლი დაირქვით,
გინდ ხრესილ-სკუა, გინდ ხრესილ-ზადე და გინდ ხრესილ-სონი,
თქვენგან გამოგზავნილი ლექსი „ნოქრები“ მაინც არ დაიბეჭდება.

უოთას (იქვე) იწერებით:

ხრესილის კლუბ-სამკითხველოს
დირექტორობს თამარაო,
ჩოტკი უნდა მის დეფექტებს,
თითები კი არ კმარაო.
კინო იქ არ იმართება,
წარმოდგენა სულ არაო,
თვითონ გამგეს იქ ვერ ნახავთ,
დაკულაობს გზა შარაო.

თამაროს მუშაობის დეფექტებს შეიძლება მართლაც „ჩოტკი“
უნდა, მაგრამ ჟურნალში თანამშრომლობას და მით უფრო პოეტო-
ბას, წერა-კითხვის ცოდნა სჭირდება.

ლესიზინელს (ჩხოროწყუ)

ჩვენს პირგარამს, ჰე ნიანგო,
ჩაგჩურჩულე ჩუმად ყურში.
გაზეთები თვეში მხოლოდ
ერთხელ მოდის ჩხოროწყუში.

ეს ალბად მისი ბრალია, რომ ცხაკაიას ფოსტა-ტელეგრაფის
განყოფილება „ენერგიულად“ მუშაობს. გვაცნობეთ დამნაშავეთა
ვინაობა.

კოჩიას (ლესიკინე—ჩხოროწყუს რაიონი) თქვენი მასალები დაი-
ბეჭდება მახლობელ ნომერში.

ნიკიფორას (შორაბანი) თქვენმა ლექსმა შორაბნის ვიწრო ხაზის
სადგურის „პოეტური“ სურათი დაგვიხატა („პოეტურს“ ხმარობთ
მხოლოდ სადგურის „შესამკობად“). მოგვყავს თქვენი ლექსის ნაწ-
ყვეტი:

ქონი არის ქონ-მანურა,
სახურავი არ აქვს არა.
და ავღარში ამ სადგურში
გაღმოქუხავს წყლის კამარა.
ადგილკომის თავმჯდომარე
ეკიდება საქმეს გულით,
ზამთრისათვის ამ სადგურში
ნავს გაუშვებს ელმავთულით.

მოგვაწოდეთ სხვა მასალები.

გივის (ზუგდიდი) აი, „საუკეთესო“ ადგილი თქვენი ლექსიდან:

ზუგდიდ ქალაქს თუ მიღინარ,
უნდა გქონდეს კაი ტონი,
რომ იშოვო წასახვლეღად
მაშინა ან ფაიტონი.
ჩარი-რამა! რაშოვ-რერა!
რაშოვ-რერა! ჩარი-რამა!
ამ ჩვენს დროში სულ ერთია
ლექსის წერა, ლომის ჭამა.

რაკი სულ ერთია, ჩვენც გირჩევთ ლომის ჭამას მიეძალოთ.

ნიპას (აქვე) იწერებით: ტროლეიბუსის წყალობით ერთი საათი
დავკარგეთო. ასეთ კონტექსტში ძნელი გამოსაცნობია რომელ საათზე
ვიგულისხმობთ დრო, როცა შეიძლება დაკარგულიყო ტროლეიბუსის
ლოდინის ეამს, თუ დროს აღმრიცხველი აპარატი, რომელიც შეი-
ძლება გაქაფულიყო მოგზაურობის დროს.

საკრედიტო კოლეგია.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშილის 5, ტელ. 3-74-67.

გადაეცა წარმოებას 25/XI ხელმოწერილია დასაბეჭდათ 18/XII წ. შეკვეთის № 1360. მთავლიტის რწმუნ. № 1898. ტირაჟი 15.000.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს აამ-ბის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ; № 28 კლიშეები დამზადებულია სახელგამის ცინკოგრაფიის მიერ.



ინგლისის გაზეთის რედაქციაში

— ხვალ, 8 ნოემბერს, ღამით, განსაზღვრულ საათზე და განსაზღვრულ წუთზე, გერმანიის ერთერთ ქალაქში მოხდება „მოულოდნელი“ აფეთქება. დაუყოვნებლივ მოამზადეთ ინფორმაცია „მოულოდნელი“ აფეთქების შედეგების შესახებ.